

# ახალი თაობა



**თამაზ მეჭიაური:**  
„მანასო სილაშელა,  
სად ვახსენე მისი შვილები“



**გვ. 4**  
ამერიკული  
ტანკების  
საქართველოში  
შემოსვლამ  
დეპუტატი შეაშინა

ორშაბათი, 9 მაისი, 2016

№108 (7034)

ფასი: 50 თეთრი

## „ქართულ ოცნებაში“ ერთმანეთს ფახსაცმელები ესროლეს“ **გვ. 2**



**გვ. 2**

### „გაღიატორი“ ვაშაძის გუნდს უერთდება



ლევან ხაბეიშვილი:  
„ნარმანიამ მერიას მისამართი შეუცვალა“

### დავით ბაქრაძე: „ნაბოსთან სამხედრო წვრთნებმა დაგვანახა, ვინ ზრუნავს ჩვენს თავდაცვაზე და ვინ ემუქრება მას“



**გვ. 4**

ირაკლი  
სესიაშვილი:  
„რუსეთი ჩვენს  
ტერიტორიაზე  
წვრთნებს  
უკანონოდ  
ატარებს“



**მამუკა არაუშიძე:**  
„ქართული  
ოცნების“  
მუშაობა



**გვ. 3**

**რეგიონებში  
კრიტიკას  
ვერ უძლებს“**



**გვ. 3**

**სააკაშვილის გუნდი  
შეიძლება მარია  
ბაილარმაც დატოვოს**

სააკაშვილი მოუწოდებს  
პოროშენკოს, არ დაუშვას  
რევანისტიების შაბაში

**კონსტანტინე გამსახურდია:**  
„ორპარტიული სისტემა  
უნდა დასრულდეს“ **გვ. 5**





















# საქართველოს ოლიმპიურ ნაკრებს 2 ლიხანოვანოვი შეემატა

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს ნაკრები რიოს ოლიმპიურ თამაშებზე სუთაცვიანი გუნდით იქნება წარმოდგენილი. სტამბოლში ბოლო სალიცენზიო ტურნირზე ფინალში გავიდნენ და ოლიმპიური ლიცენზია გაინაღდეს რობერტ კობლიაშვილმა (85 კგ) და იაკობ ქაჯაიამ (130 კგ). საგზურის შესაბამის პრეტენდენტებში, წინა ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა რევაზ ლაშვამი (59 კგ), სამწუხაროდ, ბოლო შანსიც ვერ გამოიყენა და მეორე რეში ამერიკელ დევიდ ტიელკესთან დამარცხდა – 6:13.



რობერტ კობლიაშვილმა ფინალამდე 3 მეტოქეს აჯობა: ბრაზილიელი სანტიაგო ბარდაოს (8:0), ლატვიელი ლაიმუტას ადომაიტისსა (4:1) და ყაზახ დანიელ გაჯიევის (2:1). ოლიმპიური ლიცენზიის მოსაპოვებლად ასევე სამი კონკურენტი ჩამოვიდა იაკობ ქაჯაიამ – ბერძენი ქსენოფონ კუციუმპასი (8:0), ტუნისელი რადუან ჩები (8:0) და უნგრელი მიხაი დიაკ-ბარდოსი (9:0). დღესათვის ჩვენ 33 ოლიმპიელი გვყავს, რომლებიც სპორტის 11 სახეობას წარმოადგენენ: ძიუდო (7 სპორტსმენი), თავისუფალი ჭიდაობა (6), ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (5), ძალოსნობა (4), მშვილდოსნობა (3), ტყვიის სროლა (2), ცურვა (2), მძლეოსნობა (1), ბატუტზე ხტომა (1), მხატვრული ტანვარჯიში (1), ფარიკაობა (1).

დარჩენილია კიდევ რამდენიმე სალიცენზიო შეჯიბრება, სადაც ქართველი სპორტსმენები გამოვლენ. მაისში კანოსტები ლიცენზიების გასაწესების მიზნით შეიკრიბებიან გერმანულ დუისბურგში, მაის-ივნისში სოფია და ბაქო უმასპინძლებენ მოკრევთა ბოლო სალიცენზიო ტურნირებს, ნოტიხ-გემსა და ანტალიაში კი დარჩენილი ოლიმპიური ადგილებისთვის იბრძობებიან მშვილდოსნები. გარდა ამისა, ოლიმპიადამდე მოხვედრის მეტ-ნაკლები შანსი აქვს ჩვენს 3-4 მძლეოსანს, აგრეთვე ჩოგბურთულ ნიკოლოზ ბასილაშვილს.

# ქუთაისა და ბათუმმა მოედნის უპირატესობები დაკარგეს

სუპერლიგის ნახევარფინალები ჩვეული დაძაბულობით დაიწყო. სერიის პირველი მატჩები მასპინძლებმა მოიგეს, მეორეში უკეთეს სტუმრები გამოიყურებოდნენ, იმარჯვეს კიდეც და მოედნის უპირატესობა მოიპოვეს.

## ქუთაისი-სოხუმი 1:1

პირველი მატჩის ბედი ივან მიკულიჩის სამქულიანმა გადაწყვიტა, რომელიც სორვატმა უკანახელობა საფინალო სირენამდე 2 წამით ადრე ჩააგდო. მანამდე კი თავდაზოგავი და უკომპრომისო ბრძოლა მიმდინარეობდა, რომლის განმავლობაშიც ხან ერთი გუნდი იგებდა მცირედით, ხან – მეორე.

პირველი პერიოდი ქულით სოხუმელებმა მოიგეს, ხოლო მეორე ქუთაისელთა უპირატესობით წარიმართა და მათი გამარჯვებით – 21:15 დასრულდა და დიდი შესვენებისთვის მასპინძლები 5 ქულით დანინაურდნენ, თუმცა სოხუმელებმა ისეთი ბრძოლა გაუმართეს მასპინძლებს, რომ შეხვედრის ბოლო წუთებამდე გამარჯვებული ვერ გამოვლინდა.

მატჩის ძირითადი დროისთვის განკუთვნილი დროის ბოლოსწინა წუთზე ქუთაისი 78:74 იგებდა. ლევან ფაცაცია ფარქვემიდან ორიანი ჩააგდო და ქუთაისელი მეორე აიჭულა, დაჯარიმებულიყო. სოხუმელთა კაპიტანმა საჯარო მოვლა ჩააგდო და ჩამორჩენა მინიმუმამდე შეკვდა. სოხუმელებმა მეტოქეს შეტევა გააცუდებინეს და გიორგი ჯგერენია ფარქვემიდან ჩაგდებული სტუმრები დაანინაურა – 79:78.

ვაჟა კვარაცხელიას განკრთილმა სოხუმელებმა მეტოქის შეტევა ისევ მოიგერიეს და საპასუხო შეტევაში ანდრე ჯოსნმა სამქულიანი სტუმრები 82:78 დაანინაურა. დარჩენილი იყო 26 წამი. ქუთაისელთა აზერბაიჯანელმა უკანახელობა ზაურ ფაშაევამ სამქულიანი ჩამორჩენა 1 ქულამდე შეამცირა, ხოლო მასპინძლები სოხუმელებზე ტაქტიკურად დაჯარიმდნენ და ფილიპ მილერმა 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო. 81:83 ჩამორჩენილი ქუთაისელები შეტევაზე გადავიდნენ. ხორვატმა ივან



მიკულიჩმა ბურთი გაისწორა და სამქულიანი ქუთაისელებს გამარჯვება მოუტანა – 84:83.

მეორე მატჩში სოხუმმა დამაჯერებელი ანგარიშით იმარჯვა – 83:74. თუმცა, ეს ნაგება რიონისპირელებმა საკუთარ თავს უნდა დააბრალონ, რადგან დიდი შესვენებისთვის მეტოქეს 13 ქულით უგებდნენ.

ბოლო პერიოდის წინ ანგარიში თანაბარი იყო – 54:54. მატჩის ბედი ფილიპ მილერის შედეგიანმა თამაშმა გადაწყვიტა. ამერიკელმა უკანახელობა, რომელსაც სანყის 3 პერიოდში 6 ქულა ჰქონდა ჩაგდებული ბოლო 10-წუთეულში 4 სამქულიანი და ჯამში 16 ქულა ჩააგდო, რითაც ქუთაისელებს იმედი გადაუწურა.

## ბათუმი-ლინკო 1:1

დავით უსტიაშვილის განკრთილმა ბათუმმა პირველი მატჩი 86:73 მოუგო დინამოს და სუპერლიგის ნახევარფინალური სერია გამარჯვებით გახსნა.

სერიის პირველ მატჩში ბათუმელებმა დამაჯერებლად, ზედმეტი გართულების გარეშე იმარჯვეს. დინამო ვერ გამოდგა ის გუნდი, რომელიც ბათუმელებს წინააღმდეგობას გაუწევდა. უსტიაშვილის გუნდმა თავიდანვე რომ მოიპოვა ლიდერობა, საკუთარი სიძლიერე ეჭვქვეშ აღარ დაუყენებია. მასპინძლებმა ერთმანეთის მიყოლებით მოიგეს პირველი, მეორე და მესამე პერიოდები რის შემდეგაც, ბოლო მეოთხედში ფრე ითამაშეს და შეხვედრაც მათი 13-ქულიანი უპირატესობით – 86:73 დასრულდა.

მეორე მატჩში კი უკვე ბათუმი ვერ გამოდგა მეტოქედ და დინამოელებმა 11 ქულის სხვაობით – 81:70 მოიგეს. თბილისური გუნდის დომინანტია ყოველ პერიოდში ნათელი იყო. ირაკლი ხოშტარიას განკრთილმა დინამოელებმა ყველა პერიოდი მოიგეს და მასპინძელთათვის წარმატების შანსი არ დაუტოვებათ.

# შპინგთაიგერა ბაიერს ჩეპიონოზა მიულოსა

გერმანიის ეროვნული ნაკრების და „მანჩესტერ იუნიტედის“ ნახევარმცველმა ბასტიან შვანიშტაიგერმა ყოფილ კლუბს მიუხეხის „ბაიერსს“ ბუნდესლიგის ჩემპიონობა მიულოცა.

„ყოფილ თანაგუნდელებს, კლუბს და მათ გულშემატკივრებს ბუნდესლიგის ზედიზედ მეოთხე ჩემპიონობას ვულოცავ.“ – დაწერა საკუთარ ტვიტერის გვერდზე ბასტიანმა.

შვანიშტაიგერი „რეკორდმაისტერთა“ რიგებში 2000-დან 2015 წლამდე თამაშობდა. მსოფლიოს ჩემპიონმა ამ ხნის განმავლობაში 500 მატჩი ჩაატარა და გულშემატკივრები 68 გატანილი გოლით გაახარა.

worldsport.ge



## უელბები

Table with 7 columns: Rank, Name, Points, etc. Includes sub-sections for 'ინტერნო ცხრილი' and 'ინტერნო ჩემპიონშიპი'.

Table with 2 columns: Name, Points. Includes sub-sections for 'ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი' and 'საბურთალოსი ცხრილი'.

Table with 2 columns: Name, Points. Includes sub-sections for 'საბურთალოსი ცხრილი' and 'საბურთალოსი ცხრილი'.

Table with 2 columns: Name, Points. Includes sub-sections for 'საბურთალოსი ცხრილი' and 'საბურთალოსი ცხრილი'.

Table with 2 columns: Name, Points. Includes sub-sections for 'საბურთალოსი ცხრილი' and 'საბურთალოსი ცხრილი'.

Advertisement for 'მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი' (Men's Health Center) with contact information and address.





